# სახალხო გაზეთი

№ 831 სამშაბათი, 26 თებერვალი 1913 წ. № 831

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



სახალხო გაზეთი — ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება (კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ ორი წიგნი

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა, პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი — ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. 40 კაპ.

დანარჩენ მ მთხოვნებში უფასო.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი სხვ(ა)რემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გ მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.


მწუხარებით გულმოკლულნი: **ასპირო და მინადორე ტულუშისა შვილებით, ბაბილინე და მოსე დოლიძენი, ფატი და კოსტა ცერცვაძენი, ნადეჟდა და პაჰმენ თოთიბაძენი, მარო და მიხაკო კალანდაძენი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 26 ამ თებერვალს წლის თავზე გარდაცვალებისა პირველის საყვარელი შვილის, მეორესი—ქმრისა დ მამისა, მესამესი—ძმისა და ცოლის ძმისა, მეოთხესი—მამის, მეხუთესი—სიმამრისა, ხოლო მეექვსე დ მეშვიდესი ბიძისა

**მოსე ნიკოლოზის ძე ტულუშისა**

პანაშვიდი იქნება გადახდილი **ქ. ოზურგეთის** საკრებულო ტაძარში. 1094

მწუხარებით გულმოკლულნი **მღვდელი ანტონ ცეცხლაძე, დიმიტრი და ივანე ზოსიმეს ძენი ცეცხლაძეები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, ხოლო დანარჩენების—დაუვიწყარი რძალი

**მათიკო დავითის ასული ცეცხლაძისა.**

გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია 27 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, **ს. შემოქმედში.** 124


ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

პასხალიდის

**აბრეშუმის თესლი**

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში**

**ბათუმში**, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

**სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა:** თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენ დ უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კ ნტორა** ამით მოაგონებს, რომ თესლი დროზედ დაკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსაზიდი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოდ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 1079

გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა „**მემკვიდრობა**“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის** პიესა

„**მამცემი**“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა**, იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინითა, რადიის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: ხოლოდნ(ა)ა კი. ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე) ტელეფ. 7—92. 97.

**სარატოვის მექარხნენი სავაჭრო სახლი**

**„ე. ე. მაიერ“**

**ერევნის მოედ. „კავკაზის“ სასტუმროს ქვეშ.**

ვაუწყებთ პატივცემულ ჩვენს მუშტრებს, რომ შობის დღესასწაულების მსგავსად, ჩვენის ნოემბერის მთავარ გამგეობის ნებართვით, კვლავ ვნიშნავთ

**საგაზაფხულო იაფ-ვაჭრობას შვიდის დღით**

ე. ი. ამ წლის 27, 28 თებერ. 1, 2, 4, 5 და 6 მარტს, ნამდვილ ფასებიდან 20%—40% დაკლებით, სახელდობრ:

| | | | |
|---|---|---|---|
| აბრეშუმეულის სარპინკაზე ვაკლებთ | 30 % | ბამბაზიაზე | 30 „ |
| 20 გოჯ. ზეფირზე | 40 „ | ფუფაიკებზე | 30 „ |
| აბრეშუმისაზე | 30 „ | მაუდის საქონელზე | 20 „ |
| შალეულობის ქსოვილებზე | 30 „ | აბრეშუმის შარფებზე ქალებ. | 30 „ |
| ჩულქებსა და წინდებზე | 25 „ | პლუშის საბნებსა და სუფრებზე | 30 „ |
| თეთრეულსა და საყელოებზე | 30 „ | საფარდე ტიულზე | 30 „ |
| სხვა და სხვა ტილოზე | 20 „ | ქუთაისის ჩეჩუჩაზე | 20 „ |
| ბამბაზიის ქსოვილებზე | 30 „ | შეკერილ კაბებზე ქალთათ. | 25 „ |

ვიმედოვნებთ, რომ პატივცემული საზოგადოება პატივსა გვცემს და ჩვენს მაღაზიას ესტუმრება. **პატივისცემით სავაჭრო სახლი „ე. ე. მაიერ“** 1077

*Общество Кахетинскихъ садовладѣльцевъ „Кахетія“ въ Тифлисѣ*

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

УСТАВЪ ОБЩЕСТВА УТВЕРЖДЕНЪ 1895 Г.

№

**რადგანაც ამ უკანასკნელ დროს**

**მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი, „კახეთი“-ს საზოგადოება**

**საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოვეკიდებით სასამართლოს წესით.** 1054

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

**იყიდება საყმაწვილო წიგნები:**

ოქროს ფული. ლ. ფალავას გადმოკეთებული ქ. 1911 წ. ფ. 2 კ.
მოთხრობათა კრებული. ივ. ყიფიანის გადმოკეთებული ქ. 1911 წ. 2 „
იოანე სარდალი. ნათ. ი. ყიფიანისაგან ქ. 1912 წ. 3 „
მირიელ ეპ-სკ. ვიქ. ჰიუგოდან. ნათ. ჩერქეზიშვილისა. 2 „
სამი მოთხ.: ბიჩერ-სტოუ, გულკეთილი ებრაელი, ავია თუ კარგი. ნათ. დ. ნ—ვისაგან ქ. 1912 წ. 3 „
სინიდისის ხმა. ვ. ნ—ძისაგან გადმოკეთებ. ქ. 1911 წ. 2 „
სოფელი კურთხეულა. გადმოთარგმნილი არ. დადიანის ქ. 1911 წ. 3 „
მოგზაური. გამოკ. ლ. ელიაშვილისაგან ქ. 1911 წ. 2 „
ცხოვრების გზა. ალ. ჯირაქამის თარგ. ქ. 1911 წ. 2 „

**ახალი წიგნები და სურათები:**

სიტყვანი დავით ეპისკოპოსისა. ტფ. 1912 წ. ფ. 10 კ.
Статьи и замѣтки по грузинскому церковному вопросу. პროფ. ა. ა. ცაგარლისა, პეტ. 1912 წ. ფ. 1 მან.
ვლ. მესხიშვილის სურათი დიდი 50 „
ქართ. არტისტ. ჯგუფის სურათი დიდი 50 „

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

**შორაპნის მაზრის**

(ქუთაისის გუბერნია)

**შავი-ქვის მრეწველთა კრების**

**საბჭო**

ამით აცხადებს, რომ 1913 წ. **3 მარტს**, შუადღის 12 ს.-ზე, დაბა **ჭიათურაში საჯარო ვაჭრობით**

**იჯარით გაიცემა:**

1) მრეწველთა საბჭოს მიწაზე აგებულ და მის კუთვნილ საავადმყოფოს შენობაზე **ზედა სართულის დადგმა**, სამუშაო 20,000 მანეთისაა.

2) იქვე **ორ-სართულიან სახლის აგება** მკურნალთათვის. ნავარაუდევია 10,000 მან.

ხარჯთ-აღრიცხვისა, გეგმებისა და აგრეთვე ტეხნიკურ, თუ სხვა საზოგადო პირობების გაგება შეიძლება დაბა ჭიათურაში, საბჭოს სატეხნიკო კანტორაში, ყოველ დღე, **დილის 11—2 საათამდე.** მსურველებს გაეგზავნებათ ბლანკები სამუშაოთა რაოდენობის მუხლობრივის აღნიშვნით. ფასები უნდა განაცხადონ წერილობით, დაბეჭდილ კონვერტში და აგრეთვე **ბედ** უნდა წარმოადგინონ მთელი საიჯარო თანხის ათი პროცენტი.

სავალდებულო არ არის ორთავე შენობის ერთად აღება იჯარით. 1062

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე-** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძსენის ის ძე ა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დაგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე ზ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ი. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგ. დედათა სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½. |
| ქალთა და საშვ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ზაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>**მიქელაძე ზ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ი. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დაგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½<br>**ხრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| კანის ვენ. სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კბ. ექ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მიოადგარიანი საქასურიით. 1035

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ ბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ვოროზიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ მ. მელიქიშვილი** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ი** 1053

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1722

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი, ორდინატორად ნამყოფი** კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.

**იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკ. ულ. შაქრის ავად ყ. სიმაუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციებ. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. შოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ.**, № 91, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 102

**ექიმი** კბილისა **ნინო რუხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

# ქართული პრესა

გაზეთი „თემი“ თავის უკანასკნელ მეთაურში ფრიად საყურადღებო საკითხს ეხება. იგი აღნიშნავს „ჩვენი დროების“ „დროებით“ შეჩერებას და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ჩვენებურმა ზომიერმა ლიბერალურმა ჯგუფებმა თავიანთი ორგანო ვერ შექმნეს. გაზეთი „თემი“ ამის მიზეზსა ჰხედავს იმ გარემოებაში, რომ ჩვენისთანა პირობებში მყოფ ერისთვის ძნელია ინტენსიური ამოძრავება ზომიერ ელემენტებისა.

„იმ ელემენტებს,—სწერს „თემი“,—რომელთაც შეეძლოთ შეედგინათ ასეთი ზომიერი ორგანიზაციები, ხალხის საუკეთესო ნაწილი, რომელსაც სასიცოცხლო ნიშანი უფრო აქვს, ,რულებით არ ენდობა. ამიტომ ეს ელემენტები იძულებულნი არიან ან გაჩუმებული ისხდნენ ან მიეკედლონ არსებულ ჭეშმარიტ დემოკრატიულ პარტიებს, რომლებმაც დაიმსახურეს ხალხის უმრავლესობის ნდობა. ეს ნდობა ამ პარტიებს ავალებთ უფრო ფაქიზად და სათუთად მოეკიდონ სახალხო საქმეს, მოსპონ არა-საკადრისი ერთმანეთის ლანძღვა და ხელი გაუწოდონ ერთმანეთს იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს თვით ხალხის ინტერესი.

პრაქტიკულ საქმიანობის დროს, რომელიც მხედველობაში აქვს გაზეთ „თემს“, რა თქმა უნდა, ასეთი შეთანხმება მოსახერხებელიც არის და სასურველიც. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენი იდეიური მოწინააღმდეგენი მედიდურები არიან და ჰგონიათ, რომ დემოკრატული პრინციპები მათს მონოპოლიურ საკუთრებას შეადგენს. ამიტომ ისინი ყოველთვის გაურბიან შეთანხმებას ქართულ დემოკრატიულ ჯგუფებთან და ამჯობინებენ შეთანხმებას ისეთს ჯგუფებთან, რანაირიც, ვსთქვათ, სოლოლაკელი პლუტოკრატიაა. მათთან შეთანხმება შესაძლებლად მიაჩნიათ და ქართულ დემოკრატიულ ჯგუფებთან კი არა. მიზეზი ცხადია. ჩვენებური დასელები გეგემონიის მოტრფიალენი არიან და ამ გეგემონიას არავის დაუთმობენ, თუ ძალით არ გამოგლიჯე ხელიდან. ასეთია ფსიხოლოგია ყოველგვარ ორტოდოქსიისა.

* *

რომ ჩვენ მართალს ვამბობთ, ამას „მერცხლის“ უკანასკნელი ნომერიც გვიმტკიცებს. ხსენებულ ნომერში ვინმე რ. წერილში „ერთად შეტევა—თავ-თავის გზით სიარული“ გვიმტკიცებს, რომ არსებულ დემოკრატიულ ჯგუფთა შორის შეთანხმება შეუძლებელია. სამაგიეროდ შესაძლებლად მიაჩნია შეთანხმება ზოგიერთ პრაქტიკულ საქმეებში.

„მაგრამ ასეთი განსხვავება,—სწერს „მერცხალი“,—ამ მიმდინარეობათა შორის არ ნიშნავს იმას, რომ დროებით არ შეიძლებოდეს მათი საერთო გამოსვლები, როცა, მაგ., კითხვა დგება ბიუროკრატიის ძალ-მომრეობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, აქ მათი ინტერესები დროებით ერთი და იგივე ხდება“.

თქვენს პირს შაქარი! ჩვენც მაგას მოგახსენებთ! რატომ არ შეიძლება სათათბიროში შეტანილი შეკითხვა სახალხო სკოლების მდგომარეობის შესახებ სწორედ ასეთ საკითხად ჩაითვალოს? როგორც სოციალ-დემოკრატები, ისე გელოვანი ერთნაირად იყვნენ დაინტერესებულნი, რომ სახალხო სკოლების მდგომარეობა ჯეროვანად გამორკვეულიყო. ამით არც თქვენ „დემოკრატიულ ქალ-წულობას“ დააკლდებოდა რამე და საქმეც უფრო მოგებული დარჩებოდა. მაგრამ რატომ არ მოისურვეს ეს სოციალ-დემოკრატებმა? იმიტომ, რომ „დამარცხებაც და გამარჯვებაც“ უნდოდათ თითონ დარჩენოდათ, იმიტომ, რომ მათ პარტიული ინტერესები ხალხის რეალურ ინტერესებზე მაღლა დააყენეს. მაგრამ მეტს რას უნდა მოელოდეს ადამიანი ჩხეიძესა და ჩხენკელისაგან?

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს** გამო 22 თებერვალს ქალაქის მეშვიდე უბნის ვაჭრებმა სადილი გამართეს ღარიბთათვის. სადილი გამართეს კახეთის მოედანზე. დაესწრო 500 კაცი. ნაშუადღევს 2 საათზე მოედანზე მოვიდა პოლიცმეისტერი გენ.-მაიორი ზასიპკინი და ვაჭრებს მადლობა გადაუხადა ღარიბთათვის სადილის გამართვისათვის. ვაჭრებმა თავის მხრივ პოლიცმეისტერს მადლობა გადაუხადეს ყაჩაღ-მძარცველთა ბრბოს მოსპობისათვის.

✦ **ტფ. ბაპტისტებმა** მართლმადიდებელ მისიონერებს აუკრძალეს თავის სამლოცველო სახლებში შესვლა და მათ სარწმუნოების წინააღმდეგ საუბარი.

✦ **საბირჟო ცნობები.** 25 თებერვალს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 40 კ., აძლევენ—85 მან. 35 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—82 მან. 75 კ., აძლევენ—82 მან. 25 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—77 მან. 75 კ., აძლევენ—77 მან.

✦ **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის** გუშინწინ ქალაქის მერვე უბანში სავაჭრო-სამეურნეო პოლიციამ 15 მეპურესა და ყასაბს ოქმი შეუდგინა.

✦ 24 თებერვალს ვერაზე, ეგრედ წოდებულ დედაბრის ველზე საქართველოს **ეგზარხოსმა აკურთხა ახალი ეკლესია** წმ. მიხეილ ტვერელის სახელობისა. კურთხევას დაესწრნენ: მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვა-დაშკოვისა, სამღვდელოებისა, სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

✦ ქალაქის წყალსადენის გამგემ ინჟენერმა გ. ზ. ქურდიანმა დაამთავრა პროექტი იმ **წყალსადენისა,** რომელმაც წყალი უნდა აძლიოს სოფლებს პატარძეულსა და აღბულახსა. წყალი უნდა გაიყვანონ მახლობელ წყაროებიდან. პროექტით წყალსადენი დაჯდება დაახლოვებით 4,000 მან. იმ შემთხვევაში, თუ მიწის სამუშაოებს გლეხები თვით შეასრულებენ.

✦ ტფილისში ხმა გავრცელდა, ვითომც უმაღლეს მანიფესტის ძალით **ქალაქის ლომბარდში** დაგირავებულს ნივთებს პატრონებს უფულოდ უკან უბრუნებდნენ. ამ ,ს გამო გუშინ, როგორც კი ლომბარდი გააღეს, ლომბარდს აუარებელი ხალხი მიაწყდა და ნივთებს თხოულობდნენ. ნივთები მათ, რასაკვირველია, არ მისცეს.

✦ **მეფის მოადგილე** გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც უკანასკნელ ხანს შეუძლოდ იყო, უკვე მორჩა და 24 თებერვალს, შუადღისას, ქალაქში სასეირნოდ გამოვიდა.

✦ 22 თებერვალს რეალურ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ ამ სასწავლებელში სამუსიკო და საცეკვაო საღამო გაიმართა, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო.

✦ როგორც გავიგეთ, განზრახულია საგანგებო **საეპისკოპო კათედრა** დაარსონ ჩრდილოეთ ოსეთში, რადგანაც იქ სარწმუნოება დაეცაო.

✦ გ. დასახლების სამმართველომ **სამრევლო სკოლის** შენობის აგება დაასრულა სიღნაღის მაზრის სოფელ დაშკოვში.

✦ ხელმწიფე იმპერატორმა, ფინანსთა მინისტრის უქვეშევრდომილეს მოხსენების თანახმად, დამტკიცა დაწვრილებითი აღწერილობა **სადღესასწაულო მანეთიანისა.** მანათიანის ერთ მხარეს გამოხატულია ნიკოლოოზ მეორე ლეიბ გვარდიის ფორმაში და მიხეილ თეოდორეს ძე მონამაზი სამხარეულებითა და ქუდით. ნაპირებზე წვრილი ზოლი აქვს ხაზებისა და წერტილებისა. მეორე მხარეზე გამოხატულია სახელმწიფოს გერბი. გერბის ზევით აწერია „რუბლ“ გერბის ქვევით აწერია 1613 19 3. ფულის გარშემო, მანათიანის ყუაზე აღნიშნულია წმინდა ვერცხლის რაოდენობა.

### სასამართლო

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია** 24 თებერვალს ქუთაის-ბათომ-სოხუმისაკენ გაემგზავრა, სადაც 2 მარტამდე დაჰყოფს.

### სასწავლებლებში

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაამტკიცა პროექტები, რომლითაც განჯაში სამასწავლებლო სემინარია, ხოლო ნახიჩევანში სავაჟო პროგიმნაზია უნდა დაარსდეს.

✦ **ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების** საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა კურსების სისტორიო ფაკულტეტთან კავკასიის ფილოლოგიის განყოფილება დაარსოს: არაბულ-სპარსულ-თათრული დ ქართულ სომხური.

### ქუთაისი

✦ **ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს** 1912 წელს დარჩენილ მამულებიდან გაუყიდნია ტფილისში 28 მამული—717600 მ., ბათომში 11 მამული—172,000 მ. ქუთაისის გუბერნიის დაბა-სოფლებში — 39 მამული—249,000 მან. 1913 წ. 1 იანვრისთვის ბანკს ჰქონია 168 გაუყიდავი მამული, რომლებზედაც გაცემული ჰქონია თავნი ვალი 1,013,000 მ. და ნედოიმკები ირიცხება მათზე 228,000 მ.

### გორი.

✦ როგორც მკითხველმაც იცის, 17 თებერვალს, ღამით ვიღაცეები შეიპარნენ „ქართლის“ კანტორაში, გასტეხეს სამწერლო მაგიდის უჯრა, დასწვეს ღ დახიეს რაც უჯრაში ბარათები ღ დოკუმენტები იყო და წაიღეს პატარა რკინის კასა, როგორც თვით სტამბის გამგე ამბობს, 70 მანეთით. პოლიცია შეუდგა დამნაშავეთა აღმოჩენას. მეორე-მესამე დღეს ადმინისტრაციის განკარგულებით დასწყვიტეს წყალი, რომელიც ამილახვრის წისქვილს ამუშავებს და ხსენებულ წისქვილის ქვემოთ, რუში იპოვეს „ქართლის“ კანტორიდან წაღებული კასა. ეტყობათ ბოროტ-განმზრახველებს იგი გაუტეხიათ, ამოუღიათ ფული და მერმე წყალში გადაუგდიათ. ვინ ჩაიდინა ეს, ან რამ მიიყვანა პოლიცია იმ დასკვნამდე, რომ წყალი დაეწყვეტინებინათ, ჯერ გამორკვეული არ არის. ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა.

# სასამართლო

## კამო ტერ-პეტროსოვის გაქცევის საქმე.

(დასასრული *)

ნაფიც. ვექ. **გრუზენბერგი.** ამ ბავშვებს მის მოქმედებებში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. ამდენი ხნის განმავლობაში არ უნახავთ ძმა და უეცრად 1910 წელს გამოუძახეს გამომძიებელთან; იქ პირველად ნახეს ძმა. საზღვარ-გარედ ტერ-პეტროსოვი ჭკუაზე შეშლილად იცნეს, აქაც სამხედრო ექიმებისაგან შემდგარმა ექსპერტიზამ იგივე შეამოწმა. რასაკვირველია დებსაც ესეთივე წარმოდგენა ჰქონდათ. ნუ თუ წარმოსადგენია, რომ ამ ბავშვებმა მოახერხეს ტერ-პეტროსოვის გაქცევა. ეს ბავშვსაც არ მოუვა აზრად. ბრაგინს რომ სიმართლის თქმა სდომებოდა, ბევრ რასმე ახალს იტყოდა, მაშინ მთელ ორგანიზაციას დაასახელებდა. იგი ამბობდა: პეტროსოვმა მომცა წერილი, წავედი დებთან, დებმა წამიყვანეს ვერის სასაფლაოზე და იქ „კოტემ“ ხერხები და ,არაღი მომცაო. როგორ შეიძლება ყველაფერი ეგრე წინდაწინ მზად. იაროსინსკი კი ამტკიცებდა, რომ სასაფლაოზე ერთმა დამ **არუსიაკმა** წაიყვანაო. მაშასადამე **ჯავაირას** რაღა ედება ბრალად? ის ხერხები ისეთი პატარეებია რომ ყოველ ბულკში შეიძლებოდა გადაცემა. წარმოიდგინეთ ბრაგინის ფსიხოლოგია. მას დაჰპირდნენ პარიზი და იმ დროს, როდესაც ტერ-პეტროსოვი გაიქცა, იგი ქუთაისში დარჩა უფულოდ. რასაკვირველია, ბრაგინს ჯავრი სჭირდა ტერ-პეტროსოვისა და არა მადლიერი იყო, როგორც ბრალმდებელმა განაცხადა. ამიტომ დაასახელა დები, რომელნიც საავადმყოფოში ნახა. მეორე მხრით ამ ჩვენებას იმიტომაც არ უნდა დავუჯეროთ. არ ღირს შეჩერება იმაზე, რომ ბრაგინს ძალით ათქმევინეს ჩვენება, თუმცა ბრალმდებელი ამას უარსა ჰყოფდა, მაგრამ სასამართლომ ბევრი მაგალითი იცის ასეთი, ამ ბოლო ხანში თქვენ გამოუტანეთ საბრალმდებლო განაჩენი პოლიციელს, რომელმაც ცოცხალი კაცის ხორცი გახურებულ შამფურით დასწვა, როგორც კატლეტი. დების ტერ-პეტროსოვების დამოკიდებულება ცინცაძესთან არაფრით არ არის დამტკიცებული. ამბობენ: ცინცაძე ტერ-პეტროსოვის საქმეების მონაწილეა, მაშასადამე, დებს უნდა იცნობდეს. ტერ-პეტროსოვს ბევრი თანამოქმედნი ჰყავდა, მაშასადამე მის დებს ყველასთან უნდა ჰქონოდათ დამოკიდებულება. ტერ-პეტროსოვის გაქცევის დღეს, დები ხუთ საათზე გაჩხრიკეს და ვერაფერი ვერ უპოვეს. გაქცევა კი 4 საათზე მოხდა. თუ კი დაამტკიცებთ, რომ მათ მონაწილეობა მიუღიათ, მიუსაჯეთ მათ კატორღა, მაგრამ აქედან რომ წახვალთ, ის რწმუნება უნდა დაგრჩეთ, რომ სამართალი მოვახდინეთ, გაგზავნეთ ეს ორი უმანკო სიცოცხლე კატორღაში, მაგრამ გაავსეთ მათ მიერ დატოვებული საცარიელე, დაურღვეველი საბუთებით. შემდეგ დამცველი გადადის ბოროტ-მოქმედების კლასიფიკაციაზე და ამტკიცებს, რომ კიდეც რომ ჩაედინათ ეს საქმე, ექვსი თვის ციხის მეტის გადაწყვეტა შეუძლებელია.

ნაფ. ვექ. თანაშ. **შერმანი** ამტკიცებს, რომ ტერ-პეტროსოვი დიდი გამოქნილი კაცია და ბევრი საქმე ჩაუდენია. ასეთი საიდუმლოს შემნახველი კაცი (კონსპირატული) არას დროს არ გაუზიარებდა დებს თავის განზრახვას, არას დროს არ მიაღებინებდა მონაწილეობას 10-15 წლის მოწაფე ქალებს. ბრაგინის ჩვენებას არავითარი ყურადღება არ უნდა მიექცეს. ბრალმდებელი იმითი ხელმძღვანელობს, რომ ბრაგინმა ამაზე მიუთითა, მაშინ, როდესაც ოქმში არაფერი არ არის ნათქვამი ჯავაირაზე. მეორე მხრით ბრაგინი მხოლოდ ამათ იცნობდა, რადგან ესენი დაიარებოდნენ საავადმყოფოში. დამცველი დების გამართლებას მოითხოვს.

სხდომა საღამოს 8 საათამდე შესწყდა.

საგანგებო საკრებულოს სხდომა 22 თებერვალს, საღამოს 8 საათზე განახლდა. სიტყვა წარმოსთქვა ნაფ. ვექ. თანაშ. **ბებურიშვილმა.** „მე შევეხები იმ მასალას, რომელიც ბრალმდებელის აზრით სწორედ ამტკიცებს ა. ცინცაძის დანაშაულს. სამი დღის განმავლობაში არ ყოფილა ერთი ცოცხალი არსებაც,—ერთი მოწმეც, ერთი საბუთიც, გარდა იაროსინსკისა, რომელიც ცინცაძის დანაშაულს ამტკიცებდეს. ბრალმდებელის სიტყვით, ცინცაძე ექსპროპრიატორია, რომელმაც ერევნის მოედანზე თავდასხმაში მონაწილეობა მიიღო, პატენტიანი სოციალ-დემოკრატია, საზღვარ-გარედ შენიშნულ პირებს უგზავნიდა ფულს. მაგრამ განა ეს საკმარისი საბუთია? თუ ექსპროპრიატორია — გაასამართლეთ შესაფერ კანონით, როგორც სოციალ-დემოკრატი 102 მუხლის ძალით, თუ გნებავთ ფულის გაგზავნისათვისაც, მაგრამ ამას რა დამოკიდებულება აქვს ტერ-პეტროსოვის გაქცევის საქმესთან? ერევნის მოედანზე ფულის გატაცების საქმე ექვსი წლის წინად მოხდა; ცინცაძე მაშინ შეიპყრეს, მაგრამ გამომძიებლამდისაც კი გაანთავისუფლეს“. შემდეგ დამცველი, მოწმეების ჩვენების მიხედვით ამტკიცებს, რომ ცინცაძე გაქცევის დღეს ლანჩხუთში იყო. რანაირად მოაწყო ასეთი საქმე ამ სიშორეზე? ბრალმდებელმა ფულის გაგზავნის ბარათები დაასახელა საბუთად და ამტკიცებდა, რომ ჟორჟიკი—ტერ-პეტროს ძმაა. მაგრამ ქ-ნმა მარტელმა, რომლის სახელით იყო გაგზავნილი ფული, უარჰყო ეს. მოწმეებმა ნასიბოვებმა დაამტკიცეს, რომ „კოტე“ თითონ დაარქვეს, რადგან ალიპი ძნელი გამოსათქმელია. უმთავრესი, მაშასადამე ბრაგინისაგან დაბრალებაა. ამის შესახებ ბევრი ითქვა და გამოირკვა კიდეც, რომ ბრაგინმა ცილი დასწამა იძულებით. არ შეგვიძლიან ბრაგინს არ დავუჯეროთ, როდესაც იგი პირველ ჩვენებაზე უარს ამბობს. მიუხედავად იმისა, რომ ბრალმდებელი სასჯელის შემსუბუქებას შეჰპირდა, ბრაგინი არ სარგებლობს ამით; პირიქით, მან განაცხადა, როა გუშინ ნახა ის კაცი, რომელსაც „კოტეს“ უწოდებენ და იცნობს კიდეც თუ აჩვენებენ. დამატებით გამოძიებამ შეიძლება სასამართლო შეცდომას ააშოროს. დამცველი თხოულობს ცინცაძის სრულ გამართლებას.

ნაფ. ვექ. თან. **ალექსი-მესხიშვილი.** კახეთელიძეს არ ჩაუდენია ისეთი დანაშაული, რომელმაც ტერ-პეტროსოვის გაქცევა გამოიწვია. მაგონდება ექიმების მოწმობა: კახეთელიძე საუკეთესო მოსამსახურე იყო, სამაგალითო, მუდამ ერთგული და მუყაითი. 32 წლის განმავლობაში ერთი შენიშვნაც კი არ მიუღია. რაში გამოიხატა მისი უყურადღებობა? როგორც თითონვე გულახდით აღიარა და ეს აღსარება პატივსაცემლად ხდის მას, იგი ოცი წუთით მიდიოდა სამი საჟენის მანძილზე მდებარე ბინაზე. მაგრამ ეს გარემოება არას დროს არ გამოიწვევდა ტერ-პეტროსოვის გაქცევას, თუ არ ბრაგინის შეთქმულება. კახეთელიძეს ბრალსა სდებენ იმაში, რომ კარგად არ ადევნებდა თვალყურსაო. კახეთელიძე საპყრობილის ზედამხედველი არ იყო, იმის მოვალეობას არ შეადგენდა მოაჯირისა და ბორკილების დათვალიერება. ერთადერთი მისი დაუდევრობა იქნება ის რომ 32 წლის ნამსახური კაცი ოცის წუთით მიდიოდა შინ სადილის საჭმელად. „დაგვიმტკიცონ დამცველებმა რომ ბრალდებულთ არ იცოდნენ, რომ პეტროსოვი სამართალში 102 მუხლის ძალით იყოვო“—განაცხადა ბრალმდებელმა და ერთის ფრაზით დაავალა თავისი მოვალეობა დამცველებს. მაგრამ ეს ხომ მთავრობის წარმომადგენელის მოვალეობაა! ყოველ დროს ასეთ მდგომარეობაში დამცველების ჩაყენება შეუძლებელია. თუმცა ამ შემთხვევაში სიამოვნებით ვეგებები ბრალმდებელის წინადადებას, რადგან ხელთ აუარებელი აბუთი გვაქვს. ჩვენს წინაშე აუარებელმა მოწმემ გაიარა, მათ შორის იყვნენ ექიმები: ორბელი, გედევანიშვილი და სხვანი, რომელთაც ერთი სიტყვაც არ უთქვამთ იმის შესახებ, რომ კახეთელიძემ იცოდა რამე 102 მუხლის შესახებ. თითონ კახეთელიძემა სთქვა: ვიცოდი რომ ავადმყოფი დიდი დამნაშავეა და კანონის მუხლის შესა'ებ კი არაფერი მსმენიაო. მაშ, რაღა დარჩა ამ საქმისაგან? მეთვალყურეობის სისუსტე, რომლის შედეგიც გაქცევა იყო, ,ამტკიცებული არ არის; მეორე მომენტი—რომ კახეთელიძემ იცოდა რამე 102 მუხლის შესახებ—დამტკიცებული არ არის. მაშ, რაზე ემყარება ბრალმდებელი? მესხიშვილი შუამდგომლობს კახეთელიძის გამართლებას.

ნაფ. ვექ. **ბარათაშვილი.** უერთდება მესხიშვილის შუამდგომლობას. „ტერ-პეტროსიანის შესახებ მთელი მიწერ-მოწერა გურკოსა ჰქონდა, კახეთელიძემდის არ აღწევდა. არც ერთ მოწმეს არ დაუმტკიცებია კახეთელიძის ბრალდება. გულწრფელად ვამბობ, რადგან დარწმუნებული ვარ კახეთელიძის გულ-წრფელობაში, კახეთელიძეს რომ სცოდნოდა იტყოდა კიდეც. კახეთელიძე არ ეხებოდა ამ მისთვის გაუგებარ საკითხებს და არც შეადგენდა მის მოვალეობას. განა მარტო კახეთელიძემ, თითონ საავადმყოფოს უმაღლეს მმართველებმაც არ იცოდნენ ეს, თორემ მთელ ლექციას წაუკითხავდნენ კახეთელიძეს. მთელი ბრალდება დამყარებულია მოწმეების ჩვენებაზე, რადგან წერილობითი საბუთები არა გვაქვს. მოწმეებს კი არ შეგვიძლიან არ დავუჯეროთ, განსაკუთრებით იმ მოწმეებს, რომელიც თვით პროკურატურის მიერ არის გამოწვეული. მომხდარ ამბის სურათი ისეთი იყო, რომ ყველაფერი აჯერებდა კახეთელიძეს, რომ გაქცევა შეუძლებ ლია. ექიმებმა გურკომ, გედევანიშვილმა, აგრეთვე სამხედრო ექიმებისაგან შემდგარმა ექსპერტობამ დაამტკიცა, რომ პეტროსოვი სულით ავადმყოფია და თავის მოქმედებაში თავს ანგარიშს არ აძლევს. მაშასადამე, კახეთელიძეც დარწმუნებული იყო, რომ პეტროსიანი გაქცევაზე ვერ იფიქრებს. ჩვენ დაგვიმტკიცეს, რომ კახეთელიძე საქმეს მეტად სინიდისიერად ეპყრობოდა. ყველა საქმე დამყარებულია ურთიერთ ნდობაზე. კახეთელიძეს საფუძველი არა ჰქონდა უნდობლად მოპყრობოდა თავის ქვეშევრდომთ. იგი ერთი წუთითაც ვერ იფიქრებდა, რომ ბრაგინი იარაღებს შეიტანდა საავადმყოფოში და უნდა გაეჩხრიკა იგი. უფროს ექიმებმა არა სთქვეს, რომ კახეთელიძეს უნდა გაეჩხრიკა მოსამსახურეები. გარეშე პირთაგან მოტანილს კი სასტიკად ათვალიერებდნენ. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ კახეთელიძეს ყოველ დღე უნდა დაეთვალიერებია ფანჯრების მოაჯირი და პეტროსოვის ბორკილები? საავადმყოფოს ადმინისტრაციას ამ მხრივ არავითარი ინსტრუქცია არ გაუცია. 15 აგვისტოს მომხდარი ამბავი კახეთელიძეს ვერ დაბრალდება. მხოლოდ ის შეეხება კახეთელიძეს, რაც გამოწვეული იყო მისი კონკრეტული მოქმედებით. გაქ ცევა 15 აგვისტოს მოხდა; იმ დღეს კახეთელიძე მორიგი არ იყო; 14-ს კი ბრაგინი არ მორიგეობდა. კაცი გაიქცა იმ დღეს, როდესაც კახეთელიძე არ მორიგეობდა. განა შეიძლება ის სამართალში მისცენ სხვისი მოქმედებისათვის? ამიტომ კახეთელიძე მართალია და სასამართლომაც უნდა გაამართლოს“. ამის შემდეგ სიტყვა მიეცა ბრალდებულთ.

**ბრაგინი.** კვლავ ამტკიცებს რომ დები პეტროსოვები და ცინცაძე დამნაშავენი არ არიან. „კოტე“ ეხლაც მეტეხის ციხეშია და კიდევაც იცნობს, თუ აჩვენებენ. შემდეგ ბრალდებული მოჰყვა მთელ ამბავს.

ბრალ. **ცინცაძე.** ბრალმდებელი დაემყარა თავის საკუთარ მოსაზრებას. ამბობს, რომ ბრაგინის მოსყიდვა ნახევარი ბოთლი არაყით შეიძლებაო. მაგრამ რად [illegible] და იგი თავისუფლების დაპირებით. ბრალმდებელმა სთქვა კამო სომეხი და მე ერთად ვმოქმედებდითო. 1907 წელში მე შემიპყრეს და 9 თვის შემდეგ გამანთავისუფლეს. როგორ მოხდა ეს. ამ დროს კი საბუთებს შორის არის მეტეხის ციხის უფროსის მოწერილობა, სადაც იგი ამტკიცებს, რომ 1909 წელს იქ იჯდა ტუსაღი კოტე (კონსტანტინე) ცინცაძე. ბრაგინს ცემით აჩვენებინეს ჩემზე. ბრალმდებელი ამბობდა, რომ ჩვენ საპყრობილეში მოვილაპარაკეთ. მაგრამ ვისაც კი მეტეხის ციხის „ახალი შენობა“ უნახავს, იმან კარგად იცის, თუ რა სასტიკობაა იქ. მე ვიჯექი სიკვდილ-მისჯილთა დერეფანში, გარედ არ მიშვებდნენ და იქვე კარებთან იდგა „შპიკი“, როგორღა მოვახერხე ბრაგინის ნახვა“. ბრალდებული თავს არა სცნობს დამნაშავედ და გამართლებას თხოულობს.

**ჯავაირა ტერ-პეტროსიანი.** ჩვენ პატარაობისას დაგვეხოცა დედ-მამა შემდეგ ნათესავები გვზრდიდნენ. [...]ნი ძმა ადრიანადვე გადაიკარგა [...]ქცა ბათომის ციხიდან. 1911 წ[...] ცრად გამოგვიძახა გამომძიე[...] პირველად დავინახეთ წვერ[...] შიანი უცხო კაცი, საბრალო[...] რონო, სულით ავადმყოფი. [...] ნათესავური გრძნობა არა [...] მაგრამ შეგვეძლო მისი მიტოვ[...] როდესაც ვიცოდით, რომ ის ჩვენი ძმა იყო? ჩვენ გვაბრალებენ მისი გაქცევაში მონაწილეობას; მაგრა[...] რისთვის ჩავიდენდით ამას? უნდ[...] გაგვექცია საავადმყოფოდან, [...] შემდეგ კი ისევ ამ საავადმყოფოშ[...] მოგვეთავსებინა? ამდენი ხანია ტყუილ-უბრალოდ ვიტანჯებით ციხეში. ჰლექმა ლამის არის წუთს-სოფელს გამომასალმოს. რათა, რისთვის?“ თხოულობს თავისთვის და დისათვის გამართლებას.

დანარჩენი ბრალდებულნიც გამართლებას თხოულობენ. საგანგებო საკრებულოს სხდომა 22-ს ღამის 11 საათზე შესწყდა. 23 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათზე საკრებულომ გამოიტანა განაჩენი, რომელიც უკვე გვქონდა მოთავსებული ახალ ამბებში. ამ განაჩენით: ბრაგინი, ცინცაძე და დები ტერ-პეტროსიანცები დამნაშავედ სცნო და გადაუწყვიტა: პირველ ორს ექვსი წლის კატორღა, დებს კი—საუკუნო გადასახლება. დანარჩენნი ბრალდებულნი გაამართლა.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 830.

# სალიტერატურო დილა

## ქართველ ქალთა ხელ-საქმის სკოლაში.

შაბათს, 23 თებერვალს ჩვენ მცხოვან მწერალ ქალის ეკ. რევ. გაბაშვილის თაოსნობით ქართველ ქალთა ხელ-საქმის სკოლაში გამართულ იქმნა სალიტერატურო დილა, რომელიც გაიხსნა პატარა ისტორიული ამბის მიმოხილვით რომანოვთა სამეფოს საგვარეულოს შესახებ.

დილა შესდგებოდა ოთხი განყოფილებისაგან. თვითეული განყოფილება მით იყო საინტერესო, რომ ყველა ბავშვების სიცოცხლე დავინახეთ, აუწერელი აღ აცება და, რაც უფრო საყურადღებოა, ქართული სული, რომელიც უტყუარ საბუთს გვაძლევს, რომ ჩვენ მთლად არ წავმხდარვართ, რომ ქართველთ მომავალში კვლავ გვეყოლებიან ქართველი დედები...

პირველი განყოფილება მაიკოვის „მანიფესტით“ დაიწყო. ლამაზი იყო ეს სურათი. დიდი და პატარა მანიფესტის მკითხველ გოგონას შემოჰხვეოდნენ. თვით გადაყრუებული ბებრუხუნაც კი დაინტერესებულიყო ამ ამბით. გათავდა წაკითხვა და რუსული ცეკვა-სიმღერა მოჰყვა, რომელიც, ვითომც, მანიფესტს გამოეწვია.

მაგრამ ამ განყოფილების გვირგვინი აკაკის „გოგია მეჩონგურე“ გახლდათ. უყურებდით და გი კრობდათ, რომ ბავშვები ასე რიგად სცოცხლობდნენ სცენაზე. კოხტა ულვაშებ დაწკეპილი გოგია (კაპანაძის ასული) ჩონგურით მოიმღეროდა დედა და ცოლის (ფალავანდიშვილისა და ლანდიას ას ულნი) [...] ნახავად, რომ გამოსთხოვებოდა მათ, ვიდრე ომში წავიდოდა. აქ მარტო მოხდენილი გრიმი კი არა, უფრო ბავშვის სითამამე გვაკვირვებდა, უმთავრესად კაპანაძის მშვენიერი ხმა, რომლითაც მან მთელი დარბაზის ყურადღება მიიპყრო. ვუყურებდით ამ პატარა გოგონას [...] ერთხელ და უკანასკნელად ვრწმუნდებოდით, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს ქვეყანა პოეზიისა, მუსიკისა და ხელოვნებისა. დიდი და დიდი მადლობის ღირსია ბანი ნიკ. კავსა-

ძე, რომელსაც ასე დაუხელოვნებია ქართულ სიმღერებში ბავშვები, რაიც ასე ნათლადა სჩანდა არა მარტო იმ სიმღერებში, რომელსაც თვითონ ჰხელმძღვანელობდა, არამედ ისეთ რთულს (რა თქმა უნდა, ბავშვებისათვის) საგნისათვის, როგორიც პატარა ოპერის მინამზგავსი აკაკის „გოგია მეჩონგურე“ გამოდგა. თვითეული ბავშვი ტონის მიუცემლად თვითვე ახერხებდა სიმღერის დაწყებას, ისე რომ არცერთს მათგანს არ შეუშლია პიესის მსვლელობა...

მეორე განყოფილებაში ჩვენი მუშათა ცხოვრება გადაგვეშალა თვალწინ. აი სურათი: ქანცმილეული მუშა კედლის ძირს მიგდებულა და კურტანზე თავმიდებულს მკვდარივით ჩასძინებია. შემოდის გამვლელი და ილიას ლექსით მიჰმართავს:

„გოლვიან დღესა ტფილისშია შუა-
ბაზრისკენ
მე ჩამივლია... ჩემო მუშავ, მინახავ-
ხარ შენ
კედელთან მწოლი,... და სხვა.

გაათავა ლექსი, ფარდის შერხევისას საზოგადოებაშით არ გაეცილებინა ილიას ლექსის წამკითხველი გოგიბედაშვილის ასული, რომ ეს „კედელთან მწოლი“ მეორე მუშა (ბარტუკაშვილის ასული) გამოიღვიძებს, თვალებს მოიფშვნეტს, გაჟანგულ კისერს წამოასავსავებს და, რა შენიშნავს გაკვირვებულ მაყურებლებს, თვითვე არანაკლებ გაოცებული რჩება: „რას მიყურებთ აგრე გაკვირვებული?..“ მისი ლამაზი დეკლამაცია, მკაფიო გამოთქმა მშვენიერს შთაბეჭდილებას ახდენდა.

ერთ ნაკლებ საყურადღებო იყო გოლაშვილის ასული, რომელმაც რაფაელ ერისთვისის „მუშა“ წაიკითხა. ეს განყოფილება დათავდა მოწაფეთა გუნდის გამოსვლით (ყველას გლეხურად ეცვათ), რომელიც ნიკ. კავსაძის ლოტბარობით „გლესავ და გლესავ ნამგალო“-ს მოიმღეროდა.

მესამე განყოფილება იმითი იყო საყურადღებო, რომ ჩვენ რჩეულ მწერალთა ლექსების წაკითხვის პარალელურად მისდევდა ქართული სიმღერები. ლექსებში მოიწონეს ილიას „მესმის მესმის“, მაყაშვილის „ამირანი“, ვაჟა-ფშაველას „მოლოდინი“, ეკ. გაბაშვილის „ნაკადული“, ახალ მწერლობიდან შანშიაშვილის „კოლხეთს“, გრიშაშვილს „სამშობლოს ნანგრევებზე“ და სხვა. ლექსები ყველამ ლამაზად წაიკითხა, გონივრული და მკაფიო გამოთქმა, ხშირად თეატრალურად თავის დაჭერა ლამაზ სურათებს გვიშლიდათ თვალ-წინ. იყო ერთგვარი „ფათერაკი“ (თუ შეიძლება ასე ითქვას), რომელმაც მოულოდნელი დისონანსის ნაცვლად უფრო მხიარულება გამოიწვია: ეს გახლდათ ილიაშვილის ასულის გამოსვლა, რომელიც გამოუცდელობის გამო სულ აირია ევდოშვილის ლექსის წაკითხვის დროს, თვითეული მისი შედგომა, რომ ტაეპები მოეგონებინა, ხელ-ახლად თავიდან დაწყობა მაყურებელთა შორის დაუსრულებელ სიცილს იწვევდა.

მეოთხე განყოფილება სულ სიმღერებიდან შესდგებოდა. ბავშვები თავიანთ სულის სამეფოში ჰგრძნობდნენ თავს და ერთს სიმღერას მეორეზე უკეთესად ასრულებდნენ. იმღერეს: „ქართველო ხელი ხმალს იკარ“, „თამარის დროშა“, „ღმერთო წვიმა მოიყვანე“, „ფაცხა“, „ფერხული“, „მოდის მტერი კახელნო“ და სხვა და სხვა. განსაკუთრებით მოიწონეს „ცანგალა და გოგონა“, რომელიც ხელ-ახლად გაამეორებინეს.

ამ წერილის დათავებისას არ შემიძლიან პატარა სცენა არ ავწერო: როდესაც „დილა“ გათავდა და საზოგადოება იშლებოდა, ბავშვები ნელ-ნელა გამოიკრიბნენ, თითქოს შეუმჩნევლად გარს შემოერტყნენ სტუმრად მოსულ აკაკის და მის გარშემო სიმღერა დაიწყეს, რომელიც ერთგვარ კანტატად შემოგვესმა. მოხუცის ბრწინვალე სახეზე აღბეჭდილი იყო როგორც აღტაცება, ისე გულითადი მადლობა, რომელიც ბავშვებმა მის წინაშე დაიმსახურეს.

საზოგადოდ მადლობის ღირსნი არიან: ქ. ეკ. გაბაშვილისა, სალ. გ. მაღალაშვილისა, ელ. გ. ნაცვლიშვილისა და ბ. ნიკ. კავსაძე, რომელთაც არა დაიშურეს-რა, რომ „დილა“ ასე მშვენივრად ჩაეტარებინათ. რაც შეიძლება ხშირად უნდა იმართებოდეს ხოლმე ასეთი შინაარსიანი საბავშვო დღესასწაულები, რომ ჩვენს გადაგვარებულს ახალთაობას გადმოგვარების ნიადაგი მოუმზადდეს!..

დ. კ.—ძე.

# სომხეთის საკითხი

(ფ. პრესანსეს ნალაპარაკევი)

გაზ. „რუსკოე სლოვო“-ს პარიზელი კორესპონდენტი სწერს: „თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი, თავმჯდომარე „ადამიანთა უფლების ლიგისა“ ფ. დე-პრესანსე ავტორიტეტია საერთაშორისო პოლიტიკის საკითხში. 25 წლის განმავლობაში პრესანსე აწარმოებდა გაზ. „ტან“-ის უცხოეთის განყოფილებას; მის შესანიშნავ მეთაურ წერილებს დიდის გულმოდგინეთ კითხულობდა მთელი ევროპა. როდესაც იგი დეპუტატთა პალატაში შეეხებოდა ხოლმე საგარეო პოლიტიკის საკითხს, ის დღე დიდმნიშვნელოვან დღედ ითვლებოდა. მთელი თვისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში პრესანსე შეუდრეკლად იცავდა დაჩაგრულ ერთა ინტერესებს. მისი თანაგრძნობა სომხის ერისადმი უკვე ცნობილია.

ამას წინად სომხის ხალხის მეგობართა ერთმა ჯგუფმა მიმართა მას თხოვნით, რათა რედაქტორობა გაეწია იმ მემორანდუმისა, რომელიც დიდ სახელმწიფოთა მთავრობას უნდა წარდგენოდა და რომელშიც ნათლად იყო აღნიშნული მისწრაფებანი სომხებისა ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტის დროს აღძრული. ევროპას—განაცხადა პრესანსემ—არ შეუძლია დატოვება სომხეთისა იმ საშინელი რეჟიმის კლანჭებში, რომლის მზგავსსაც ვერ წარმოიდგენს თვით უულადესი ფანტაზია. ევროპის სინიდისს ამძიმებს გაუნაღდებელი ვექსილი—ბერლინის ტრაქტატი—რომლითაც სომხებს აღთქმული ჰქონდათ რეფორმების შემოღება დიდ სახელმწიფოთა მეთვალყურეობით. სომეხი ფხილი, მაღალი კულტურის ქვეყანაა. იგი სულს ჰლაფავს თურქებისა და ქურთების მძიმე უღელს ქვეშ. ჩემს არქივში თქვენ იპოვით სისტემატურად აღნუსხულ ფაქტებს სომეხთა ცხოვრებიდან, იგინი ჯერ გაუგონელ საშინელს რასმე წარმოადგენენ. აწიოკებანი, რომელსაც სისხლის ღვრით ამშვიდებენ, ქურთების თარეში, ქალთა და ბავშვთა გაუპატიურება, ძალით გამაჰმადიანება და სხვა ათასგვარი სიმხეცე. ყველაზე უფრო საშინელი ის გარემოებაა რომ წინად სომხებს შეეძლოთ იარაღით თავდაცვა, დღეს კი „ახალგაზრდა ოსმალების“ მიერ შექმნილმა განსაკუთრებულმა კანონმა აუკრძალა სომხებს იარაღის ტარება. ოსმალეთს ჰყავს სომხეთში ისეთი მოხელენი, რომელნიც ნამდვილად შეეფერებიან განსაკუთრებული რეჟიმს უფლებას მოკლებულ ქვეყანაში: სულით დაბალნი, გამყიდველნი, იგინი მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებისთვის ჰფიქრობენ. სასამართლოები უკანონობისა და უდიერობის ბუდეს წარმოადგენენ. მიეცით ხელში ამ მოხელეებს თვით საუკეთესო კონსტიტუციის ბედი და იგინი თვითნებობის იარაღად გადააქცევენ მას. ახალგაზრდა ოსმალთა რეჟიმმა კიდევ უფრო გააცუდა სომხების მდგომარეობა. შრომელი ნაწილი სომხის ხალხისა—გლეხები და ვაჭრები—სრულიად მოკლებულია თვისი ქონების დაცვასა და უზრუნველყოფას. სტამბოლიდან გამოგზავნილი ცირკულიარები განუწყვეტლად იმეორებენ ერთსა და იმავეს: „ჩააქრეთ რევოლიუციონური მოძრაობა სომხებისაო“, ხოლო ეს მოძრაობა მუდარაა შველისა. ამრიგად შეიქნა მოჯადოებული წრე.

მე არ ვიცი სხვა გზა ხსნისა, თუ არ მუნიციპალურისა და ადმინისტრატიული რეფორმების შემოღება სომხეთში, რომელნიც ევროპის სახელმწიფოთა მოხელეების შემწეობით უნდა იქნეს შემოღებული. ხელ-ახლა მხოლოდ ოსმალეთის ვექსილით დაკმაყოფილება დაცინვა იქნებოდა სალი გონიერებისა და სომხის ხალხის ცრემლებისა. მგონი არასოდეს არ ყოფილა ისეთი მოხერხებული მომენტი სომხეთის საკითხის გადასაწყვეტად, როგორც დღეს. ოსმალეთი, რომელიც დღეს არა ხვალ შეურიგდება ბალკანეთის მოკავშირეებს, დიდად საჭიროებს ევროპის თანაგრძნობას ჭრილობათა მოსაშუშებლად, ამიტომ ევროპას შეუძლიან უთხრას ოსმალეთს: „ჯერ გაანაღდე „სომხეთის ვექსილიო“.

ვიცი, რომ ევროპის დიპლომატია რომ შეეძლოს სიხარულით მიჩქმალავდა ისევ სომხეთის საკითხს იმ მოსაზრებით, რომ სომხეთი აზიაში, დღეს კი ევროპის ოსმალეთის ლიკვიდაციაზე არის ლაპარაკიო. ეს ასეა, მაგრამ სომხებს არ შეუძლიათ დაუსრულებლად ცხოვრება უკანონობასა და თვითნებობაში. თუ მათი იმედი არ გამართლდა, სომხეთი ძალაუნებურად გადაიქცევა საშინელ სისხლის ღვრის ველად, რომელიც ოლიმპიურ მოსვენებას დაუკარგავს ევროპის დიპლომატიას. ჩაჰქრება თუ არა ბალკანეთის ალმური, მცირე აზიაში კვლავ აინთება ცეცხლი და დაარღვევს მშვიდობიანობას.

თუ ევროპას ჰგონია—დაასრულა პრესანსემ—რომ მოახლოვდა ჟამი ოსმალეთის მცირე აზიის სამფლობელოს დაყოფისაც, მაშინ, რასაკვირველია, ლაპარაკით კი არ შეიძლება იმის თაობაზე, რომ სომხეთი ისევ ოსმალეთის ბატონობაში დარჩეს. გაყოფის დროს ვის არ შეაცდენს ისეთი გემრიელი ლუკმა, როგორიც სომხეთია, ამიტომ არც „ფასს“ დაიშურებენ მისთვის, ე. ი. რეფორმებსაც შემოიღებენ. მაგრამ თუ ევროპის დიპლომატიასა სურს ახალი, საერთაშორისო დოგმის გამოცხადება, რომ აზიის ოსმალეთი ხელშეუხებელი უნდა დარჩეს, მაშინ მშვიდობიანობის განმტკიცების გულისთვის მან უნდა აღუსრულოს სომხეთს ის დაპირებანი, რომელიც ბერლინის ტრაქტატის 61 მუხლშია ჩამოთვლილი. მაშინ სომხეთი თავისუფლად ამოისუნთქავს და ნიჭიერი, კულტუროსანი ხალხი, რომელიც გაჭყლეტილია ოსმალთა დიდხნის ძალმომრეობისაგან, კვლავ გადაიქცევა პროგრესის კერად მცირე აზიაში, როგორიც იყო იგი დამოუკიდებლობის ხანაში“.

# ბალკანეთის ომი

დეპეშები.

23—24 თებერვალი.

**სალონიკი.** სერბიის მთავრობის თხოვნით, ბერძნები გადაიყვანენ სერბიის დივიზიას, 28.000 კაცს სან-ჯიოვანი-დი-მედუაში, რათა იქიდან სკუტარისკენ გაემართოს. ხუთი ტრანსპორტი საღამოთი წავიდა.

**სოფია.** სერბიის ზოგიერთი გაზეთი უკმაყოფილოა ბულგარეთის ელჩისა, რომელიც ბელგრადში იმყოფება. ამის თაობაზე „მირი“ სწერს, რომ გაზეთების გამოლაშქრება ელჩის წინააღმდეგ უსაფუძვლოა, რადგანაც მთავრობა მას ფრიად აფასებს და დიდის ნდობით ეკიდება.

**სოფია.** შარკიოის მცხოვრებმა ბულგარეთის კომენდანტს გადასცეს ჩვენების და შემოწმების ოქმი, რომელიც მოახდინეს ბულგარეთის ექიმებმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა. ოქმში აღნიშნულია, თუ რა საზარელ სიმხეცეს ჰსჩადიან ოსმალები და როგორ ავიწროვებენ მცხოვრებთ. ოქმში აღძრულია შუამდგომლობა ბულგარეთის მთავრობის წინაშე დაეხმაროს ზარალის ანაზღაურების საქმეში დაზარალებულ მცხოვრებთ. ოსმალებმა სრულით 200.000 გირვანქის ზარალი მიაყენეს.

**ათინა.** ლადოხმა ჯარში ბრძანება გასცა, რითიც ღრმა მადლობას უხდის ჯარს, რომელმაც დაუძლეველ სიმაგრის იანინის აღება შესძლო და ამასთანავე ხელთ იგდო 100 ზარბაზანი. ერი ახალის გამარჯვებით აღტაცებულიაო, სწერს ლადოხი, მე ვამაყობ, რომ ამასთანა ვუფროსობო.

**ათინა.** გარეშე საქმეთა სამინისტროს ბეჭვდითი ბიუროში ცნობა მივიდა იანინიდან, რომ ბერძნებმა თავისი სანოვაგით დახმარება აღმოუჩინეს გაჭირვებულ ტყვე ოსმალებსო. ბიზანის კომენდანტად ნამყოფმა ფუად-ბეიმ მადლობა გადაუხადა ლადოხს ტყვეებისთვის დახმარების აღმოჩენისთვის.

**კაირი.** ქიამილ-ფაშა ებაასა არაბეთის ჟურნალისტებს. მათ ქიამილმა განუცხადა, რომ უნიონისტებს ჰსურდათ მხოლოდ ძალა ეგდოთ ხელში და არა ომის გაგრძელება, რადგანაც ქიამილი მოითხოვდა ადრიანოპოლის ნეიტრალიზაციას, ისინი კი ნახევარ ადრიანოპოლს უთმობდნენო. ეჭვს გარეშეა, რომ ჩათალჯის ლაშქარში უკმაყოფილება ჰსუფევს; ჯარის დაბრუნებისას სტამბოლში მოსალოდნელია რევოლიუციის აფეთქება. ქიამილის აზრით, დიდმა სახელმწიფოებმა უნდა შეიკავონ მოკავშირე სახელმწიფონი კონტრიბუციის მოთხოვნილებისაგან, რათა ისედაც გაჭირვებული ფინანსიური მდგომარეობა ოსმალეთისა, უფრო არ გაართულონ და დაჰხლართონ.

# ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

23—24 თებერვალი.

**სოფია** მთავრობამ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გადასცა მემორანდუმი შესახებ რუმინია-ბულგარეთის დავისა.

ბულგარეთის სააგენტო იუწყება: ხმებია ვითომც ბულგარეთში ბოიკოტი აქვს გამოცხადებული ავსტრიის და გერმანიის საქონელს, ბოიკოტის საკითხი ბულგარეთში არც კი აღძრულაო.

**პეტერბურგი.** სერბიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პაშიჩმა გაუგზავნა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს კოკოვცევს მისალოცი დეპეშა, რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულის გამო. კოკოვცევმა საპასუხო დეპეშა გაუგზავნა პაშიჩს. ამგვარივე დეპეშა მიიღო კოკოვცევმა ჩერნოგორიის მინისტრთა საბჭოს თავმჯომარისაგან გენ. მარტინოვიჩისაგან.

**ალექსანდრია.** აქ იყიდეს არაბეთის ჯიშის აუარებელი ცხენები ავსტრიის ჯარისათვის.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

23—24 თებერვალი.

საზღვარ-გარედ

**ბალტიმორა.** სატვირთო გემზე დინამეტმა იფეთქა. ახლო მდგომი გემები ძალიან დაზიანდნენ. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე კაცი. სასწავლებელი სპეროპოინტში, რომელიც ბალტიმორაზე რამდენიმე ვერსის მანძილზე არის, დაინგრა. დაჭრილია რამდენიმე ბავშვი.

**ბალტიმორა.** უკანასკნელ ცნობების მიხედვით დინამეტის აფეთქებით მოკლულია 60 კაცი, ამდენივე დაჭრილი. ზარალი 500.000 დოლარია.

**მუკდენი.** პეკინიდან მოსულ ბრძანებით აკრძალულია ჯარისა და სამხედრო მზადების თაობაზე ცნობების გამოქვეყნება. აპირებენ ურგაზე გალაშქრებას.

**ტოკიო.** საბიუჯეტო კომისიაში ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა ამ ახლო წლებში ახალ სესხს აღარ აიღებს, გარდა იმისა, რაც დასჭირდება კორეიასა და ფორმოზაში განზრახულ ზომების განხორციელებასო.

**პარიზი.** გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, 1900 წლის გამოფენის კომისარი და სამხედრო მინისტრად ნამყოფი ალფრედ პიკარი.

**ბერლინი.** კალკუტიდან იტყობინებიან, რომ დალაი-ლამამ ხელმეორედ მიიღო ტიბეთის მართვა-გამგეობა და ჩუმბში გაჰგზავნა ჯარი ჩინეთის გენერალ ჩანოს საწინააღმდეგოდ. უკანასკნელი ბრიტანიის ინდოეთის საზღვარზე გადავიდა.

**ბუდაპეშტი.** პალატამ მესამე განხილვის შემდეგ მიიღო საარჩევნო რეფორმის კანონ-პროექტი.

**ვენა.** „ცეიტი“ იტყობინება, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა ითათბირა ფინანსთა და საზოგადო საქმეთა მინისტრებთან, გალიციის ნამესტნიკთან და პოლონელთა კოლოს პრეზიდენტთან გალიციის საჭიროებათა თაობაზე. დაადგინეს გალიციის გაჭირვებულ მცხოვრებთა დასახმარებლად მიიღონ კრედიტი და დააჩქარონ გალიციაში განზრახულ ცვლილებათა მოხდენის განხორციელება.

**რომი.** პაპი ავად გახდა.

რ უ ს ე თ ი.

**მინსკი.** სლუცკის მაზრაში, ლიახოვიჩსა და მალი ლოტვაში აღმოაჩინეს პოლონელთა საიდუმლო სკოლები. დამნაშავენი სამართალში არიან მიცემულნი.

**ნოვოჩერკასკი.** შავი ქირის თავიდან ასაცდენად ყველა ოლქში ენერგიულად შეუდგნენ თრითინებთან ბრძოლის სამზადისს.

**პეტერბურგი.** სამეცნიერო აკადემიის საგანგებო სხდომაზე, რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულის აღსანიშნავად ლაკონოვმა, ლაპოდანილევსკიმ და კოტლიარევსკიმ რუსეთის ისტორიის სხვა და სხვა საკითხზე იბაასეს.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „ტრუდოვოი გოლოსის“ მეორე ნომერი.

**პეტერბურგი.** დასრულდა სრულიად რუსეთის მონარქისტთა ორგანიზაციების კრება. გადასწყვიტეს აღმართონ რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულის აღსანიშნავად დიდებული ტაძარი. კრებამ მიიღო მისალოცი დეპეშები. აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრისაგან.

# უცხოეთი

**შეთქმულება სტამბოლში**

როგორც დეპეშებით ვიცოდით, ოსმალეთის ახალმა მთავრობამ აღმოაჩინა მათ წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება. თანახმად ოფიციალურ ცნობისა, რომელიც მოთავსებული იყო „Agence Offomane“ ამ შეთქმულების დაწვრილებითი ცნობები შემდეგია: „Enfenbe liberal“-ს მომხრეებმა ლიუტფი-ბეის მეთაურობით და პრინცი საბაჰ-ედინის მონაწილეობით განიზრახეს ახალგაზრდა ოსმალთა კაბინეთის დამხობა; მათ ჰსურდათ სახელმწიფოს სათავეში დაებრუნებინათ დეცენტრალისტურ პოლიტიკის მომხრენი. ისინი ამ ბოლო დროს ჰმართავდნენ პრინცის სახლში თათბირს. ლიუტვი-ბეი არწმუნებდა მეგობრებს, რომ დეცენტრალიზაციის მომხრე მთავრობა უფრო მეტ პატივისცემას და ნდობას დაიმსახურებდა დიდ სახელმწიფოთა თვალში, ვიდრე ეხლანდელ მთავრობას აქვს დამსახურებული და მაშასადამე ზავის პირობებიც უფრო ხელსაყრელი იქნება ოსმალეთისთვისო. შეთქმულებმა ასეთი გეგმა შეიმუშავეს: ერთ-ერთ დღეს პორტას მახლობლათ დიდი დემონსტრაციას მოახდენდნენ; სულთანს მოსთხოვდნენ გადაეყენებინა და სამართლში მიეცა ახალი კაბინეთი და დაებრუნებინა დეცენტრალისტები. კაბინეთის წევრებს იმ წუთსვე დააპატიმრებდნენ და ხალხში პროკლამაციებს გაავრცელებდნენ. 8 თებერვლისთვის პროკლამაცია უკვე დაბეჭდილი იყო, 9 თებერვალს კი პოლიციამ დაუწყო პროკლამაციის დევნა. 11 საათზე გამოიტანეს სტამბიდან პროკლამაციები და მაშინათვე პოლიციამ ორი შეთქმული შეიპყრო მუსტაფა-ეფენდი, რომელმაც პროკლამაციები ჩაიბარა და სიბნი-ბეი, რომელსაც სპარსეთის რევოლიუციონერებისთვის შეუკვეთნია ყუმბარები დიდი-ვეზირის და სხვათა მოსაკლავად. მათ დაპატიმრების შემდეგ პოლიციამ ფხიზელი თვალ-ყური დაიჭირა შეთქმულებაზე და ბევრიც დააპატიმრა. მაგრამ ყველა შეთქმული როდი აღმოაჩინა პოლიციამ. არიან ბევრნი, რომელთაც პოლიცია ვერც კი იცნობს. 14 თებერვალს პოლიციამ გაჩხრიკა პრინც საბახ-ედინის ბინა. „ტანინი“ უმატებს კიდევ ერთ საგულისხმო ცნობას. შეთქმულნი გასცა მუსტაფა-ეფენდიმ, რომელიც ყველაზე პირველად იყო დაპატიმრებულიო ამის შემდეგ პოლიციას გაუნთავისუფლებია იგი და მისი შემწეობით სხვა შეთქმულნიც დაუპატიმრებიათ. ამბოხება მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა ბულგარები გალიპოლს აიღებდნენო.

# რუსეთი

**მუშა-ქალთა დღე რუსეთში.**

საჩითავ საწარმოს მუშათა ერთი ჯგუფის თაოსნობით 17 თებერვალს, პეტერბურგში მოეწყო მუშა-ქალთა დღე. პოლაკის კურსებზე დილის 11 საათზე გაიმართა სალიტერატურო დილა. „რეჩის“ სიტყვით, დარბაზი გაჭედილი იყო მუშებით. დილის გათავების შემდეგ ყველანი გაემართნენ კალაშნიკოვის ბირჟაზე. აქ მეორე სალიტერატურო დილა გაიმართა. ხალხი აუარებელი დაესწრო. დილაზე იყვნენ სოციალ-დემოკრ. ფრაქციის წევრნი. ბოქაულმა განაცხადა, რომ არავითარ მისალმებას და მილოცვის ნებას არ დართავს, თუნდაც ნება დართულ ორგანიზაციებისგან, ან სოც.-დემ. ფრაქციისგან იყოს მილოცვა.

ორ ათასამდე კაცი დაესწრო კრებას. ბევრნი, ადგილების უქონლობის გამო იძულებულნი იყვნენ დაბრუნებულიყვნენ. პირველად ილაპარაკა ქ-ნ იანჩევსკაიამ. მოლაპარაკემ აღნიშნა ქალთა დღის მნიშვნელობა. სასტატისტიკო ცნობებით გამოარკვია, რომ მუშა-ქალნი მუშათა მოძრაობაში ნაკლებ იღებენ მონაწილეობას. 1910 წელს ვენის კონფერენციამ დაადგინა, 17 თებერვალს მუშა-ქალებმა დღესასწაული გამართონ, რათა ქალთა თვითშეგნება გაფართოვდესო. ევროპაში ამ დღეს ყველა წოდების და კლასის ქალნი იღებენ მონაწილეობასო. როგორც მუშა მამაკაცთათვის სადღესასწაულო არის 1 მაისი, აგრეთვე ქალთათვის 17 თებერვალი. 1913 წლის, 17 თებერვალის დღე პირველი დღეს რუსეთში მუშა-ქალთა დღესასწაულისა. პირველ მოლაპარაკის შემდეგ ბევრმა ქალმა წარმოსთქვა სიტყვა. ქ-ნ კუდელიმ თვისი სიტყვა დაასრულა მოწოდებით, ენერგიულად იბრძოლონ მუშებმა საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად

8 საათზე, ქალთა ურთიერთ დახმარების საზოგადოების დარბაზში ქალთა დღის აღსანიშნავად გაიმართა საღამო. საღამოს აუარებელი მუშა ხალხი დაესწრო. მოხსენება წაიკითხა მუშა ქალმა ნიკიფოროვმა. კრებამ მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ქალებმა მუშათა მოძრაობაში.

„რუსკაია მოლვას“ მოჰყავს სოც.-დემოკრ. ფრაქციის რეზოლიუცია ამ საკითხის თაობაზე. ფრაქცია სიამოვნებით ეგებება რუს მუშა-ქალებს მათ საერთაშორისო დღესასწაულის გამო. ფრაქცია დღევანდელ დღეს ჭხედავს თავდებს იმისას, რომ რუსეთის განთავისუფლება უფრო ადრე მოხდება, რადგანაც მუშა ქალნიც ჩაერივნენ საზოგადო მოძრაობაში და ხმა აიმაღლეს თვის უუფლებო და აუტანელ მდგომარეობის გასაუმჯობესებლადო.

**საიუბილეო მარკები.**

ხმები დადის, რომ მთავრობამ აკრძალა საიუბილეო ახალი მარკების ხმარებაო. მეძარჯვენეებს ჰსურთ ეს გარემოება გამოაქვეყნონ და საზოგადოებაში უკმაყოფილება დასთესონ კოკოვცევის წინააღმდეგ, როგორც ამ საქმის მოთავესი. მაგრამ, როგორც ეხლა გამოირკვა ამ საქმის ინიციატორად მინისტრთა საბჭოში აწ განსვენებული სტოლიპინი ყოფილა.

**დეპუტატის გაჩხრეკის გამო.**

პეტერბურგის ქალაქის უფროსმა ბრძანება გასცა სამი თვით დააპატიმრონ პოლოცკის მოქალაქე იაკობ სვერდლოვი და ეკატერინობურგის ვაჭრის ქალი კლავდია ნოვგოროდცევა, რომელნიც თავის ნებით პეტერბურგში დაბრუნდნენ. ორივე აღმოაჩინეს სახელმ. სათათბიროს წევრთა პეტროვსკის და შაგოვის ბინაზე.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ქარ. დრამატიული საზოგადოების დასის სეზონი დასრულდა. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ სეზონი როგორც მასალურის ისე მატერიალურის მხრივ უმჯობესი იყო ვიდრე შარშან. ქართული თეატრი თანდათან იშორებს თავიდან შინაურულ, სპეციფიურ ხასიათს და უახლოვდება უძაღლეს მხატვრულს ხელოვნებას. რასაკვირველია წელსაც ბევრი იყო ნაკლი, რომელიც თავის დროზე რეცენზიებში აღნიშნული გვქონდა და ეხლა არ გამოვუდგებით მის ჩამოთვლას. იმედია ამ ნაკლსაც მალე მოიცილებს ქართული თეატრი. უკანასკნელი წარმოდგენა იყო „კეისარი და კლეოპატრა“. ამ სატირის დადგმა ბოლო წარმოდგენად, ისეთ დღეს როდესაც მხოლოდ ხალხი ავსებს თეატრის დარბაზს, შეუფერებლად მიგვაჩნია. ხელოვნებასთან ახლო მდგომ ინტელიგენტსაც გააოცებს პირველი ნახვა ამ სატირისა, თუ იგი წაკითხული და გარჩეული არა აქვს და მით უმეტეს ხალხი ვერ გაუგებს მას თავ-ბოლოს. მეოთხე მოქმედებაში კოშკში აქვთ ხალიჩა კლეოპატრა. მხოლოდ კიბის ქვეშიდან სჩანს, როგორ წვება კლეოპატრა, სად გადავარდება კეისარი და სხვანი. არ ვიცით ესეც სატირას ეკუთვნის, თუ ქართულ თეატრის მიერ დადგმულ პიესას. ხალხი ბევრი იყო და მსახიობებს ოვაციებით შეეგებნენ. დიდ მარხვისათვის შესდგა ამხანაგობა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ იგი არ გამოუდგება „დიდ მოურავიანებს“, „მზის დამბნელებებს“ და სხვა ასეთ პიესებს.

**სახალხო სახლი.** აქ სეზონის პირველი ნახევარი დასრულდა. სასიამოვნოდ და ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია რომ ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი საზოგადოების გამგეობა დიდ მუყაითობას და ერთსულოვნებას იჩენს. რეჟისორის ა. წუწუნავას ენერგიამ კი ნათლად დაგვანახვა, რომ არამც თუ ქართველ მსახიობებისა, არამედ სცენის მოყვარულთა ძალებითაც კი შეიძლება მხატვრულ ხელოვნების შექმნა. აქამდის ერთი ტენდენცია იყო. სრულიად არ აქცევდნენ ყურადღებას საერთო, მთლიან შთაბეჭდილებას, ანსამბლს; ყურადღებას იპყრობდა უმთავრესი გმირი, ცენტრალური ფიგურა და დანარჩენნი ვითომდა მათთვის თამაშობდნენ, მის გარშემო უნდა შეექნათ პიროვნების წინ წასაწევი პირობები. ეს დიდი ნაკლი იყო ჩვენს სცენაზე და ა. წუწუნავას დაუღალავ ენერგიის წყალობით ეს ნაკლი სახალხო სახლს მოშორდა. ყოველი აღმსრულებლის ცალკე თამაშს ჩვენ არ შევეხებით უკანასკნელ წარმოდგენებში. მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ იმისი, რომ სრულიად მოუხეშავი და უფერული თამაში ჭანკვეტაძისა, ბოლოს და ბოლოს ხლესტაკოვის როლის საკმაო მხატვრულ შესრულებამდე მივიდა და სხვა ასეთი. „ლა-

ლოტის“ მასიურ სცენებმა სწორედ გაოცებამდე მიმიყვანა, ანსამბლი კი დიდად სანაქებო იყო. ამ მხრივ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აგრეთვე უკანასკნელმა საღამომ, როდესაც წარმოადგინეს „აშენდა საქართველო“ და „დედის ერთა“, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ე. ჩერქეზიშვილმა და ვ. მალიკაშვილმა. სახალხო სახლის სცენის პირობები, რასაკვირველია ძლიერ უშლის ხელს, პიესების სასურველად დადგმასა და ბევრმა მსურველმა სთხოვა გამგეობას ერთი წარმოდგენა გაემართათ უფრო დიდ თეატრში. ამის გამო, როგორც გადმოგვცეს, გამგეობამ გადასწყვიტა 14 მარტს სახაზინო თეატრში გამართოს ერთი წარმოდგენა. დასდგამენ ან „ლალატს“ და ან ი. გედევანიშვილის „მსხვერპლს“.

**ნაძალადევის თეატრი.** პარასკევს, 22 თებერვალს წარმოადგინეს „ორი ობოლი“.

ბ. სვიმონიძე ჟაკის როლში ყოველთვის ჩინებულია.

ობლების როლში ქ.ქ. ჩიქოვანი (გენრიეტა) და მარ. მარგველაშვილი (ლუიზა) მეტად მშვენიერნი იყვნენ. ამ უკანასკნელის მოქმედებამა და სასოწარკვეთილის ხმით ლაპარაკმა პირველსა და ბოლო მოქმედებაში საზოგადოებას ცრემლი მოჰგვარა.

კარგები იყვნენ აგრეთვე ქ. რჩეულოვი (ფროშარი) და ბ. გოგაშვილი (პიერი).

ბ. კუდუხაშვილი გულცივი იყო კავალერ დე-ბონდის როლში. ბ. ძაძამიას სრულიად არ შეეფერებოდა პიკარის როლი.

ხალხი წარმოდგენას ძალიან ბევრი დაესწრო. **მიშო.**

# ღია წერილი

**ქერძო ვექილს იოველ ივანეს ძეს ნატროშვილს.**

1906 წელს აპრილის 27, გაზეთ „შრომაში“ მე თქვენ მოგმართეთ შემდეგი ღია წერილით:

„ითხვისში მცხოვრები ცხრა კომლი გლეხი იაკობიძეები, რომელთაც თქვენ კარგად იცნობთ, იმ დავის გამო, რომელიც მათ აუტეხა ამ ხუთის წლის წინად თავ. კონსტანტინე ერისთავის მეუღლემ ნატალიამ,—დღეს დიდ გაჭირვებაში არიან ჩაცვივნულნი. სამმა კომლმა მათგანმა ვერ აიტანა მებატონესთან ბრძოლა და შიმშილისაგან შეწუხებულმა მიატოვა თავისი სახლ-კარი და სხვაგან გადასახლდა ლუკმა-პურის საშოვნელად.

„ნატალია ერისთავს იმ თავითვე თქვენ დაუდექით ამ საქმეში ვექილად და, თუმცა კარგად ხედავდით გლეხების სიმართლეს, მაინც დაივიწყეთ თქვენი წმინდა მოვალეობა ვექილისა, ალიჭურვეთ საწყალი ხალხის წინააღმდეგ და სადაც კი შემთხვევა მოგეცეთ, გაჰქელეთ მათი სიმართლე.

„თქვენის წყალობით, ეს უბედური ხალხი ველარ ეღირსა საქმის დაბოლოვებას და მთელი თავისი ქონება ზედ შეალია მას და დიდ გაჭირვებაში ჩავარდა.

„სხვა უსამართლო მოქმედებათა შორის, რომელიც თქვენ ჩაიდინეთ, არის ისა, რომ თქვენ ამ გლეხებს დააბრალეთ ნატალია ერისთავთან შეკრულ პირობის დარღვევა, როდესაც დარწმუნებული იყავით, რომ ის პირობა მხოლოდ თქვენის მარწმუნებლის მიერ იყო დარღვეული. ეს დარღვევა პირობისა თქვენ გლეხებს დაუმტკიცეთ სასამართლოში იმ საბუთით, რომელიც გლეხების მოტყუებით ჩაიგდო ხელში ერისთავის მოურავმა კახნიაშვილმა.

„ვიმეორებ, თქვენ ყველა ეს კარგად იცოდით, მაგრამ ამ ვითომდა დარღვევისათვის პირობისა, სასამართლოს გლეხები დააჯარიმებინეთ ათას მანეთით და აღმასრულებელი ფურცელი ჩაუგდეთ ხელში იმათ მებატონეს და ისედაც განადგურებულს ხალხს ახლა ნამდვილი გატყავება მოელის, ვინაიდან კანონიც ხელს შეუწყობს.

„ქუთაისის ოლქის სასამართლოში, ამ საქმის გარჩევის დროს, თქვენ მსაჯულები შეცდომაში შეიყვანეთ და სიმართლე დაუმალეთ. ჩემს შენიშვნაზე კი, თქვენ მე, იქვე მსაჯულების წინ, შეურაცხყოფა მომაყენეთ სიტყვით.

„ამ ხალხის უკიდურესმა გაჭირვებამ მაიძულა ეს თქვენი უსამართლო მოქმედება გამომემჟღავნებინა, იმ იმედით, რომ იქნება ეხლა მაინც იგრძნოთ თქვენი დიდი დანაშაული დაჩაგრულ ხალხის წინაშე და ის აღმასრულებელი ფურცელი დახიოთ და იმ ხალხს სასჯელად აკმაროთ ის ზარალი და შევიწროვება, რომელიც მათ წილათ ჰხვდათ“.

ამ წერილზე „შრომის“ მე-37 და 38 ნომრებში თქვენ მე გ(ვ)ელი პასუხი მიძღვენით, პასუხი უსაფუძლო და ცილის წამებით სავსე. რათა ჩქარა მომეფინა ნათელი ამ ბნელი საქმისათვის, რომ ამითი ბოლო მოღებიყო ნატალია ერისთავის სიძის, გიორგი ამილახვრის მიერ, გლეხების უსაზღვრო ჩაგვრას, „შრომის“ მე-40 ნომერში, ავხსენი რა უსაფუძლობა თქვენი პასუხისა, სამედიატორო სამართალში გამოგიწვიეთ შემდეგის პირობით: თუ რომ თქვენ გამტყუნებულ იქნებოდით, ის ათას მანეთიანი აღმასრულებელი ფურცელი უნდა მოგესპოთ, იაკობიძეებისათვის დაგებრუნებინათ ამილახვრისაგან ძალით ბეთ გამორთმეული ჩვიდმეტი თუმანი და ამას გარდა დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ გადაგეხადათ ხუთასი მანეთი, ხოლო, თუ მე ვიქნებოდი გამტყუნებული, ხუთას მანეთს მე ვიხდიდი. როგორც აღმოჩნდა, ჩემი წინადადება თქვენ არ მოგეწონათ, რადგანაც, მის მაგივრად, რომ სამედიატორო სასამართლოს წინაშე აღგედგინათ თქვენი სიმართლე, თქვენ „შრომის“ მე-60 ნომერში კიდევ დაიწყეთ თავის მართლება და რაღასაც მედავებოდით. თქვენი ამ ნაირი ქცევა ნიშანი იყო თქვენი დანაშაულობისა და სურვილი საქმის რამენაირად ჩაფუჩეჩებისა, მაგრამ, გაგრძნობინეს რა თქვენმა ნაცნობებმა უსაფუძვლობა ამ ნაირი ხრიკებით თავიდან პასუხის აცილებისა, თქვენ იძულებულ გახდით სამედიატორო სამართლის მოწვევაზე თანხმობა გამოგეცხადებინათ.

ჩვენი დავა გაზეთის ფურცლებზე ამით გათავდა; შემდეგ რა მოხდა, ვინ გამართლდა და ვინ გამტყუნდა მედიატორეთა სამართლის წინაშე ამაზე გაზეთებში კრინტიც არ დაძრულა და საზოგადოებამ ვერა შეიტყო-რა. ეხლაც ვერავინ ვერას შეიტყობდა, რომ თქვენ თქვენგან მოცემული პატიოსანი სიტყვა საქმედ გექციათ და თავი დაგენებებინათ,—ამ შემთხვევაში მაინც,—სხვის მოტყუებასა და გაბრიყვებისათვის. თქვენმა არა ადამიანურმა მოქმედებამ, გლეხთა იაკობიძეების მიმართ უსამართლობამ და შეუბრალებლობამ, მაიძულა ხელახლა აღმეძრა ამ საგანზე ლაპარაკი, იმ იმედით, რომ ახლა უთუოდ მოეღოს ბოლო თქვენ თავხედურ ფარფაშობას.

თუ თქვენ არ გახსოვთ მაშინ რა მოხდა, მე გაგახსენებთ: თუმცა თქვენ სამედიატორო სამართალს დასთანხმდით, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა შემდეგ, თქვენ ეს განგებ ჩაიდინეთ, ვითომ და ამითი საზოგადოება თქვენს სიმართლეში დაარწმუნეთ, ნახევრად მაინც, ნამდვილად კი სამართალს გაექეცით და სირცხვილსა და ზარალს გადურჩით, დროებით მაინც. თუ რა სამარცხვინოთ მოიქეცით, რა ხრიკები იხმარეთ ამის მისაღწევად, ამაზე ეხლა არას ვიტყვი. მაგრამ იცოდით, რა რომ თქვენს საქციელს გაზეთში გამოვაქვეყნებდი, თქვენ, რომ ესეც თავიდან აგეცილებინათ, იმავ დღეს მიხვედით ჩემ მედიატორე სოსიკო მერკვილაძესთან და განუცხადეთ, რომ იმ აღმასრულებელ ფურცელს ჭოასპობინებთ ამილახვარს და რომ საჭირო აღარ არის სამედიატორო სამართალი. ეს რომ გადმომცა სოსიკო მერკვილაძემ, თან დაუმატა: თუ კი ნატროშვილი იმ ფურცელს მოსპობს, თავი მიანებე, ნუღარ გამოეკიდებიო. დარწმუნებული, რომ მოცემულ სიტყვას აასრულებდით, მე თქვენ თავი დაგანებეთ.

ბ. იოველ! ის აღმასრულებელი ფურცელი მოსპეთ? გლეხებს მიანებე[თ] თავი და აღარ ავიწროებთ? მას შემდეგ ექვსი წელიწადი გავიდა ამ ხნის განმავლობაში გ. ამილახვარმა დიდი შევიწროება მიაყენა იაკობიძეებს, თითქმის მიწასთან გაასწორა ეს რვა კომლი გლეხი. თვისი „საქმენი საგმირონი“ მან მხოლოდ თქვენის იმედით, თქვენის შეწევნით ჩაიდინა, ვინაიდან, როგორც მისი ვექილი, თქვენ მისგან ჩადენილ ძალმომრეობას და უსამართლობას ყველგან, როდესაც კი აზე საჩივარმა გაიარა, აქარწყლებდით და მნიშვნელობას უკარგავდით და ყველა საქმეში ბრალს გლეხებს აღებდით. ამილახვარი, წათამამებული ამითი, დაუსჯელად და პასუხის უგებლად განაგრძობდა თავის „საგმირო საქმეებს“.

ყველამ კარგად იცის, რომ არცერთმა ვექილმა არ იკისრა ამილახვრის ვექილობა, რადგანაც ყველა დარწმუნებული იყო იაკობიძეების სიმართლეში და ამილახვრის უადამიანო და ყოვლად ურცხვ და საზიზღარ მოქმედებებში. თქვენ სხვაზე უკეთესად იცნობდით გ. ამილახვარს, მაგრამ მხოლოდ თქვენ იკისრეთ მისი საქმეების და მოქმედებათა დაცვა და გახდით მისი თანამონაწილე გლეხების ჩაგვრა-დარბევაში.

სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ ნაკისრი ვალდებულება საქებურად შეასრულეთ, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე მიწასთან გაასწორეთ, ზედ შესდექით და უსინიდისოთ გაჰქელეთ დღესაც ჰქელავთ და სცდილობთ ცოცხლად ჩამარხოთ მიწაში.

დღეს, თქვენის წყალობით, იმისთანა უბედურება ატყდება თავს ამ რვა კომლს, რომ წარმოსადგენათაც კი ძნელია: ქვენ მიერ შექმნილი ათას მანეთიანი აღმასრულებელი ფურცელი ცოცხალი ყოფილა, თქვენ იგი, დაპირებისამებრ, არ მოგისპიათ, გადაგიციათ ამილახვრისათვის და ამ უკანასკნელს თავის, გლეხების დარბევა-დაწიოკებაში გამოქნილს, მოურავ გიორგი კახნიაშვილისათვის სისრულეში მოსაყვანათ გადაუცია. როგორც მატყობინებენ, კახნიაშვილს ამ ზამთარში ბოქაული კიდეც აუყვანია სოფ. ითხვისში და აუწერია საჯაროდ გასასყიდად იაკობიძეების ის მამულები, რომლებიც თორმეტი წლის დავის შემდეგ სენატმა მათ საკუთრებად იცნო და ამილახვარი ხახა მშრალი დარჩა. თქვენმა, ამოდენა ხნის მუშაობამ, თუ მუშაობას უწოდებთ თქვენს უსინიდისო და ყოვლად ურცხვ მოქმედებას, — ფუქსავატად ჩაიარა და წადილი ვერ აგისრულდათ. სამაგიეროდ ხელში ის წყეული აღმასრულებელი ფურცელი გიჭირავთ და იმის შემწეობით გსურთ გ. ამილახვარი გახადოთ იაკობიძეების მამულების პატრონად. თქვენ ამას ადვილად შეასრულებთ, ვინაიდან თქვენგან გაყვლეფილი გლეხები ას თუმანს ვერას გზით ვერ იშოვნიან და უკანასკნელი ხუთას თუმნად ღირებული მამულები მუქთად უნდა ჩაიგდოს ხელში ამილახვარმა.

ბ. იოველ! გლეხებმა რაღა ქნან, რითი იცხოვრონ? სიმშილით უნდა დაიხოცნენ?

თქვენი სინიდისი, თქვენი ღირსება, თქვენი წმინდა მოვალეობა ვექილისა რას ამბობს?

აქ მეტს აღარას ვიტყვი თქვენ და ამილახვრის „მუშაობის“ შესახებ, თუმცა რამდენიმე ტომი შესდგება თქვენგან ჩადენილი საქმეების აღწერით.

შემდეგ წინადადებას ვაძლევთ:

1. ის სამედიატორო სამართალი, რომელსაც 1906 წელს უნდა გაერჩია ჩვენი საქმე, მაგრამ მოხსენებულ მიზეზთა გამო არ შესდგა, ხელ-ახლა იქმნეს მოწვეული იმავე პირობით, რა პირობაც მაშინ დაგიდეთ გაზეთ „შრომის“ მე-40 ნომერში.

2. ეხლავე სთხოვეთ გ. ამილახვარს, ანუ იმის მოურავს კახნიაშვილს, რომ იაკობიძეების ადგილების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა შეაჩეროს, ვიდრე სამედიატორო სამართალი გაარჩევდეს ჩვენს საქმეს.

3. ერთი კვირის განმავლობაში შემატყობინოთ გაზეთით, თუ ვის დანიშნავთ თქვენს მედიატორეებად. ჩემის მხრივ ვნიშნავ მაშინდელ ჩემ მედიატორეებს: ნაფიც ვექილს კ. ჯაფარიძეს და სოსიკო მერკვილაძეს.

4. ამ ჩემ წერილზე პასუხს ნუ მომცემთ, რადგანაც გაზეთით თავის გამართლება უაზრობა იქნება და საქმეს წინ ვერ წასწევს, როდესაც უფრო კაი საშუალება თავის გამართლებისა, სამედიატორო სამართალი, თქვენთვის მზად არის.

თუ ჩემ წინადადებას უყურადღებოდ დასტოვებთ, ნება მექნება ერთი კვირის შემდეგ გაზეთში გამოვსთქვა ჩემი უკანასკნელი აზრი თქვენს შესახებ და რანაირიც უნდა იყოს ის ჩემი აზრი, თქვენ მაზე პასუხის მოცემის ნება აღარ გექნებათ.

**გრ. ცერცვაძე.**

# წერ. რედ. მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

გაზეთ „ჩვენი დროების“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია შეკითხვა ჩემდამი მომართული ვიღაც „Неуживчивый психопатъ“-ისა, თუ რა დამოკიდებულება მაქვს მე ინტრიგასთან, რომელიც ვითომც არსებობს მის წინააღმდეგ ტფილისის ქალაქის გამგეობაში. უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ვაუწყოთ ბ-ნ „Психопатъ“-ს, რომ ფსიხოპატებთან არასოდეს არავითარი საქმე არ მქონია, არა მაქვს და არც მომავალში მექნება.

თუ ამ სრულიად კერძო, უმნიშვნელო და სასაცილო კითხვის გამოსარკვევად მაინცა და მაინც საჭირო დარჩა გაზეთებისა და მკითხველების შეწუხება, პასუხის გაცემა ჩემის მხრივ შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც გავიგებ, ვინ უწოდა თავის თავს ესოდენ შესაფერი და საკადრისი სახელი.

პატივისცემით **კ. ფირცხალაიშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. 6 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ, **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: ს.ხ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ

**ყარსიდან: სახ.-საბ** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4  п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ? ს. 18 წ.

**ბათ ომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 1 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასია ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.


# განცხადებანი

## № 4711
## სქელი პუდრი

კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს

ფერდ. **მიულჰენსი**

კოლონფი 30 კაპ. ✦ პარფიუმერია № 4711

მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის. იჯარადარი.




Метцль 529935 529954

1021.

ახლად გაიხსნა

## სამშობიარო თავშესაფარი

ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა

**ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება** სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე

**ექიმი ა. გ. აგეტისოვ[ი].**

**ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3.** 1018

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა კონსულტატიურად.**

**ა. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ალასარიძე:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა [თ]ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

1004 დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

## მუხრანის კერძო სამკურნალო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| | ე ქ ი მ ე ბ ი ს მიერ: | დილით: |
| --- | --- | --- |
| შინაგანი, ნერვის და ბავშვთა სნეულებანი | **სპეკტიორი გ. მ.** | 8½—9½ ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** | 11—12 ს. |
| | **აბაკელია ი. ქ.** | 12—1 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | 12½—1½ ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | 9½—10½ ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| [illegible] | **მიკირტუმოვი** | 10 11 ს. |
| | **ექიმი-ქალი ტერ-დავიდოვისა** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** | 12½—1½ ს. |
| [illegible] | **შაპელნიკოვი გ. ი.** | 1½—2½ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581




1078

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა, თევზის მრეწველნი ძმ. ძმეველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები და ყოველგვარი კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქეტკა), ორაგული, თარ[ხ]ი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგიელი, და ყოველგვარი ✦ შავი ხიზილალა ✦